დავით ბერიძე

მოსარჩელის კანონიერი ინტერესის გავლენა ადმინისტრაციული სარჩელის შედეგებზე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2019წელი

საავტორო უფლება©2019წელი, დავით ბერიძე

1. სარჩელი, როგორც უფლების დაცვის მექანიზმი ადმინისტრაციულ პროცესში

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, რომელიც ადამინის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. სასამართლო დაცვაზე უფლების რეალიზება პროცესუალური ნორმების და საშუალებების ერთობლიობით მიიღწევა, სამართალწარმოების პრინციპების დაცვით, რომლებით უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების აღდგენას, სასამართლოზე მიმართვის უფლება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ სარჩელის შეტანით, იგი მოიცავს სამოქალაქო და ადმინისტრაციული პროცესის ყველა სტადიას საქართველოს კონსტიტუციისა და კანონით აღიარებული უფლებების დაცვის ჭრილში.[1]

საქართველოს უზენაეს სასამართლოს ერთ-ერთ საქმეზე მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომლითაც ხაზია გასმული კანონიერი ინტერესის არსებობის აუცილებლობაზე სასამართლოში უფლების დაცვის კუთხით, კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ „უფლების სასამართლო წესით დაცვა გულისხმობს პირის უფლებას, დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები სასამართლოს მეშვეობით“. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ მხარემ მართლზომიერად გამოიყენოს აღნიშნული უფლება, იდავოს ისეთ საკითხზე, რომლის გადაწყვეტაც უზრუნველყოფს მისი დარღვეული უფლების აღდგენას და ამ მიზნით გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილებები ზემდგომ ინსტანციებში. მხარის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზებისას სასამართლო თანაბრად იცავს ორივე მოდავე მხარის კანონიერ ინტერესებს. ამავდროულად, უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა დასაშვებად მიიჩნევს გარკვეულ შემთხვევაში პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვას, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

[1] საქართველოს კონსტიტუციის 31-ემუხლის პირველი პუნქტი.

აღნიშნავს, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვა, რაც განსაზღვრულია „ადამინის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლის პირველი ნაწილით ე.წ „სამართლიანი სასამართლოს უფლებით“, დასაშვებია და აღნიშნული ვერ მიიჩნევა მომჩივანი მხარის სასამართლოს ხელმისაწვდომობის ეფექტური უფლებების გამოყენების შეზღუდვად. სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა შეესაბამება „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას“, თუ ის ისახავს კანონიერ მიზანს და არსებობს გონივრული თანაფარდობა ამ საშუალებების გამოყენებასა და კანონიერ მიზანს შორის.[2] ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე სარჩელის აღძვრის მომენტისთვის მიზნად არ ისახავს კანონიერი უფლების დაცვას და და ლახავს მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს, შეიძლება მას შეეზღუდოს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

აღსანიშნავია, რომ საპროცესო სამართალწარმოებაში უფლების დაცვის ერთ-ერთ მექანიზმს სარჩელი წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც მხარეს შეუძლია დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე სასამართლოში დაიცვას დარღვეული უფლება. ისინი უშუალოდ განსაზღვრავენ დავის საგანს, მათ ამავდროულად შეუძლიათ მორიგდნენ სასამართლო პროცესის ეტაპზე, ცნონ ან/და უარი თქვან სარჩელზე.[3]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, სამართალწარმოების თითოეულ ეტაპზე საქმის განხილვისათვის გადამწვეტს მხარის ნება წარმოადგენს იმგვარად, რომ სასამართლოს უფლებამოსილება მხოლოდ და მხოლოდ დისპოზიციურ ფარგლებში გამოვლენილი ნების შესწავლის გზით და სამართლებრივი შეფასებით შემოიფარგლოს, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს სასამართლოს დასკვნას

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება ა-998-ა-7-2011.
[3] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი.

სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე.[4] შესაბამისად, მოსარჩელის მიერ დაყენებულ მოთხოვნაზეა დაფუძნებული მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეს ადმინისტრაციულ პროცესში შეუძლია მოთხოვნის ტრანსფორმირება, რაც საბოლოოდ ეფექტურ მართლმსაჯულებას ემსახურება.[5]

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციულ საქმეზე სარჩელის ფორმებში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლითაც დადგინდა, რომ ადმინისტრაციული დავის შემთხვევაში, სასამართლოსათვის მიმართვა დასაშვებია მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი ფორმით.[6] აღნიშნულ ფორმაში ცალკე პოსტულატადაა გამოყოფილი მოსარჩელის დავის საგანი, რაც გულისხმობს სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ არსს მოსარჩელის კანონიერი ინტერესიდან გამომდინარე. სარჩელში ნათლად, გარკვევით და ამომწურავად უნდა იყოს მითითებული, თუ რას მოითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და შესაბამისად დაიცვას დარღვეული უფლება.[7]

რაც შეეხება სარჩელის მიღების პროცედურულ საკითხებს, სამოქალაქო საპროცესო საქმისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ საპროცესო საქმეზე არსებობს ხარვეზის დადგენის ინსტიტუტი, რაც ნიშნავს იმას, რომ იმ შემთხვევაში თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი არ აკმაყოფილებს კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, იგი გამოიტანს განჩინებას არსებული ხარვეზის შესახებ და მოსარჩელეს მის შესავსებად დაუნიშნავს გონივრულ ვადას.[8] 2011 წლამდე სამოქალაქო საქმეზე გათვალისწინებული იყო მუხლი ხარვეზის დადგენის ინსტიტუტის შესახებ, თუმცა შემდგომ იგი ამოღებულ იქნა.[9] მოსამართლე სამოქალაქო საქმეზე ხარვეზის შევსებისათვის ვადას განსაზღვრავდა იმის მიხედვით,

---

[4] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება Nას-1049-1003-2013.

[5] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28 (1) მუხლი.

[6] 2016 წელი. №1/107 გადაწყვეტილება (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო).

[7] იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სარჩელის ფორმა.

[8] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21 (36) მუხლი.

[9] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ემუხლი.

თუ რა ხასიათის მოქმედება უნდა შეესრულებინა მოსარჩელეს და რა ვადა იქნებოდა ამისათვის საჭირო.[10]

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სარჩელის საფუძვლიანობასთან (მოთხოვნის დასაბუთებულობის ნაწილში) დაკავშირებით მოსამართლე იყენებს ე.წ „რელაციის“ მეთოდს, რომელიც მას ეხმარება მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი მეტად სტრუქტურიზებული და სისტემაზე დაფუძნებული გახადოს. აქედან გამომდინარე, მოსამართლე სარჩელის მიღების ეტაპზე ამოწმებს მოთხოვნის დაყენება რეალურად შეესაბამება თუ არა ფაქტებსა და გარემოებებს. მოსამართლე ეყრდნობა ვარაუდს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები მართალია. სარჩელის გამართულობისთვის სასურველია და არა სავალდებულო, რომ მოსარჩელის მოთხოვნას, რომელიც ეფუძნება კანონიერ ინტერესს, გააჩნდეს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლები და დასაბუთება, აღნიშნული მოსამართლეს ეხმარება სარჩელის დასაშვებობის ეტაპის გადალახვაში. სწორედ, რომ მოსარჩელის მოხერხებულობაზეა დამოკიდებული იმ ფორმალური ხასიათის სტადიების გადალახვა, რაც საბოლოოდ გადაწყვეტილების მიღებისაკენ მივყავართ. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველ კონკრეტულ საქმეზე მოსამართლე გამოდის მხოლოდ იმ ფაქტობრივი გარემოებებიდან, რაც სარჩელშია მითითებული.[11] საინტერესოა ისიც, რომ სამოქალაქო სამართლისგან განსხვავებით, სადაც მოსამართლე შებოჭილია სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, ადმინისტრაციულ პროცესში მოსამართლეს, როგორც „ინკვიზიტორს“ შეუძლია თავისი შეხედულებიდან და საქმის სირთულიდან გამომდინარე, მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. აღნიშნული უფლებამოსილება პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს

[10] ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2007, 320.

[11] შმიტი შ., რიჰტერი ჰ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2013, 8.

ადმინისტრაციულ მოსამართლეს სამოქალაქო მოსამართლისაგან.[12] სავარაუდოდ, მითითებული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართლის სპეციფიკიდან გამომდინარე.

1.1 ადმინისტრაციული სარჩელის სახეების მნიშვნელობა

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი სამოქალაქო პროცესისაგან განსხვავებით იცნობს სარჩელის სახეებს, რომელთა მნიშვნელობა დეტალურადაა გაწერილი „ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში“. თითოეულ ადმინისტრაციულ სარჩელს გააჩნია შესაბამისი დასაშვებობის ეტაპები, რომლებიც განსხვავებულია შესაბამისი სარჩელების მიხედვით.[13]

ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა იცნობს სარჩელს ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან/და ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. აღნიშნული სარჩელის მიზანი არის ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ან/და ძალადაკარგულად გამოცხადება. მოსარჩელე სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე ამტკიცებს, რომ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მის კანონიერ ინტერესს ან ზღუდავს მის უფლებებს. სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე საკმარისია, რომ შეფასდეს რამდენად ირღვევა მოსარჩელის კანონიერი ინტერესი, შესაბამისად, მოსარჩელეს უწევს სავარაუდო დონეზე იმის მტკიცება, რომ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით მას მიადგა ზიანი და სურს აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება.[14]

---

[12] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი.

[13] კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, 298.

[14] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი.

ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცალკე სარჩელის სახედ გამოყოფილია სარჩელი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე. მოსარჩელე დასაშვებობის ეტაპზე ამტკიცებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მის კანონიერ ინტერესს. მითითებული სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე საკმარისია მხოლოდ იმის ვარაუდი, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ზეგავლენას ახდენს მოსარჩელის კანონიერ უფლებაზე, შესაბამისად ყურადღება უნდა მიექცეს სარჩელის მხოლოდ ფორმალურ ხასიათს.[15]

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია სარჩელის ისეთი სახე, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემას. მითითებულ სარჩელის სახეს ეწოდება სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე. სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე მოწმდება ის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან/და უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ ინტერესს. მოსამართლე დასაშვებობის ეტაპზე მხოლოდ, ვარაუდის დონეზე შემოიფარგლება, ხოლო რეალურად დაირღვა თუ არა მოსარჩელის კანონიერი ინტრესი, ფასდება დასაბუთებულობის ეტაპზე. [16]

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციულ კოდექსში ცალკე სარჩელის სახედ გამოყო აღიარებითი სარჩელი, რომლის დასაშვებობის ეტაპზე მოწმდება რეალურად მოსარჩელეს აქვს თუ არა კანონიერი ინტერესი. აღიარებით სარჩელს გააჩნია თავისი სპეციფიკურობა, კერძოდ, სარჩელის მიზანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარება ან უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. აღნიშნული სარჩელის

[15] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი.
[16] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი.

სპეციფიკურობა იმაშიც გამოიხატება, რომ მოსარჩელეს არ შეუძლია აღძრას აღიარებითი სარჩელი თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი ადმინისტრაციული კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე.[17]

აღიარებითი სარჩელი მარტივი სარჩელის სახეს წარმოადგენს, რაც გულისხმობს იმას, რომ პირს შეუძლია აღძრას აღიარებითი სარჩელი მაშინაც კი, როდესაც უფლების დარღვევა რეალურად სახეზე არაა, თუმცა გარკვეული გარემოებების გამო უფლების დარღვევა სამომავლოდაა მოსალოდნელი.[18]

შესაბამისად, მოსარჩელეს აღიარებითი სარჩელის აღძვრასთან დაკავშირებით წინდახედულობა მართებს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შეიძლება მისი სარჩელი განუხილველი დარჩეს წინაპირობების არარსებობის გამო.

1.2 ადმინისტრაციული საჩივრის როლი ადმინისტრაციულ პროცესში

ადმინისტრაციულ საჩივარს, ადმინისტრაციულ პროცესში, დიდი მნიშვნელობა გააჩნია, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იგი სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით იმპერატიულადაა განსაზღვრული თუ რა შედეგს გამოიწვევს ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარუდგენლობა, კერძოდ, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

---

[17] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლი.

[18]სალხინაშვილი მ., მეიშვილი ზ., ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, თბილისი, 2005, 124.

აღნიშნული მუხლით მოსარჩელე ვალდებულია ერთჯერადად გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი და შესაბამისად მოითხოვოს უფლების დაცვა ადმინისტრაციულ დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილება იქნება განუხილველი ან/და არ დაკმაყოფილებული, მოსარჩელეს ეძლევა შანსი იმისა, რომ კანონიერი უფლება დაიცვას სასამართლო წესით.[19]

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული საჩივარი, შესაბამისად, ადმინისტრაციულ საჩივარში ნათლად და კონკრეტულად უნდა იყოს ასახული ის მოთხოვნა/კანონიერი ინტერესი, რაც საჩივრის ავტორს სურს რომ დაიკმაყოფილოს. ადმინისტრაციული ორგანო იღებს შემდეგი სახის გადაწყვეტილებებს: ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, საჩივრის ავტორს შეუძლია გაასაჩივროს ადმინისტრაციულ ორგანოში და მოითხოვოს კანონიერი ინტერესის დაცვა.[20] საჩივარი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის პირველი ეტაპია და მისი მიზანია, ადმინისტრაციულ ორგანოს მისცეს შესაძლობლობა ხელახლა შეაფასოს მის მიერ გამოცემული აქტი.[21]

კანონმდებლობაში განსაზღვრულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა, კერძოდ, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის ერთ თვიანი ვადა, რომელიც აითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის

---

[19] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილი.

[20] ტურავა პ., წკეპლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 133.

[21] ხარშილაძე ი., ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც სარჩელის წარდგენის წინაპირობა, სამართლის ჟურნალი, N1, 2011, 186.

დღიდან.[22] აღნიშნული ადმინისტრაციულ სამართალში წარმოადგენს ერთგვარ ხანდაზმულობის ვადას, რაც ნიშნავს დაინტერესებული პირისათვის კანონიერი ინტერესს, რეალურად ერთი თვის ვადაში მოახდენს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთჯერადად გასაჩივრებას.

თითოეულ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია შესაბამისი ადმინისტრაციული საჩივრის ფორმა, სადაც ნათლად და მკაფიოდაა განსაზღვრული ის ძირითადი შაბლონური პოსტულატები, რომლის შევსების ვალდებულებაც გააჩნია დაინტერესებულ პირს. მხარე ვალდებულია დაიცვას საჩივრის ფორმა, ვინაიდან ფორმის დაუცველობამ შეიძლება სხვა სამართლებრივი შედეგი დააყენოს.[23]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ აღნიშნავს, რომ საჩივარი უნდა ემსახურებოდეს დარღვევის პირდაპირ და სწრაფ გამოსწორებას და არა უბრალოდ ირიბ დაცვას. საჩივრის წარდგენა არ არის თეორიული უფლება, პირიქით, იგი შეიცავს მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება და აღსრულდება. აღნიშნული ემსახურება კანონიერების აღდგენას და მხარის ეფექტურ დაცვას.[24]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება, წარმოადგენს ერთგვარ მექანიზმს, რომ დაინტერესებულმა პირმა ადმინისტრაციულ დონეზე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. აღსანიშნავია ისიც, რომ ადმინისტრაციულ სამართალში კანონიერი ინტერესი, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პირის უფლებრივ მდგომარეობაზე, ადმინისტრაციული პროცესის დონეზე არ იცვლება. ხაზგასასმელია ისიც,

---

[22] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[23] იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის პირველი ივლისის 80-ე ბრძანება.

[24] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 2006 წლის 28 ნოემბერი, 40765/02.

რომ პირს კანონიერი ინტერესი წარმოეშობა ადმინისტრაციული საჩივრის ეტაპიდან და წყდება სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ ისიც, რომ ადმინისტრაციული საჩივარი და ადმინისტრაციული სარჩელი ერთსა და იმავე ფორმალურ დოკუმენტს წარმოადგენს, განსხვავება მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს შორისაა, რაც საბოლოოდ დაინტერესებული პირისათვის/მოსარჩელისათვის უფლების დაცვის ერთგვარ გარანტს წარმოადგენს.

2. კანონიერი ინტერესის არსი და მნიშვნელობა

ქართულ სამართლებრივ სისტემაში კანონიერ ინტერესთან დაკავშირებული საკითხები მწირედაა მოწესრიგებული, კერძოდ, არ არსებობს რაიმე სახის ნორმატიული აქტი, რომელიც თუნდაც რომ დეფინიციის დონეზე განსაზღვრავდეს კანონიერ ინტერესთან დაკავშირებულ საკითხებს. კანონიერი ინტერესის მნიშვნელობა ადმინისტრაციული საპროცესო სამართლისთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თითოელი სარჩელის სახის აღძვრისათვის პირის კანონიერი ინტერესის არსებობა (სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე სავარაუდო დონეზე) აუცილებელია, შესაბამისად ზუსტად და ნათლად უნდა დადგინდეს მოსარჩელის კანონიერი ინტერესი, რადგან შემდგომში განისაზღვროს ის პოზიტიური თუ ნეგატიური შედეგი, რომელიც აისახება პირის უფლებრივ მდგომარეობაზე.

უმეტესი სახელმწიფოები დაფუძნებულნი არიან საერთო სამართლებრივ რეჟიმზე. მათ გააჩნიათ ხელისუფლებისადმი ხელმისაწვდომობის უფლება, რაც გამოიხატება სასამართლოს წესით უფლების დაცვაში. საინტერესოა ისიც, რომ მიუხედავად კანონიერი ინტერესის არსებობისა, იმ შემთხვევაში თუ საჯარო ინტერესი მაღლა დგას პირის კანონიერ ინტერესზე, შეიძლება სასამართლომ არ დაუკმაყოფილოს მოსარჩელეს თავისი მოთხოვნა, შესაბამისად, აუცილებელია რომ მოსამართლემ კონკრეტული საქმიდან მიიღოს გადაწყვეტილება ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისობაში.[25]

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კანონიერი ინტერესი შეფასებითი ცნებაა, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება სასამართლომ განსხვავებული დასაბუთება მისცეს კანონიერ ინტერესს. უზენაესი სასამართლო პირის კანონიერი ინტერესის დარღვევად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ მოუხდენია დევნილთა

[25] Carter M., Bouris A., Freedom Of Information Balancing The Public Interest, 2006, 9.

ინფორმირება უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით. სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად ხელშეკრულების არაინფორმირებისა, მათ გააჩნდათ კანონიერი ინტერესი, რადგან ხელშეკრულებით ერთმევოდათ დევნილის სტატუსიდან გამომდინარე უფლებამოსილი ორგანოსაგან რაიმე კომპენსაციის და უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლება. სახელმწიფო სტრატეგიიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია მეტი პასუხისმგებლობა დევნილთა ინტერესის დაცვისა.[26]

კანონიერი ინტერესის ინდივიდუალური ხასიათის გამოხატულებაზე აქვს გადაწყვეტილება მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც მან არ დააკმაყოფილა კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე. კერძოდ, სასამართლომ განსაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (გათავისუფლების შესახებ) პირდაპირ და უშუალო ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ ინტერესს. ამავდროულად, სასამართლომ განსაზღვრა, რომ პირის გათავისუფლების შესახებ აქტი, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობას. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტი ასაბუთებდა, რომ მას გააჩნდა კანონიერი ინტერესი, რადგან გათავისუფლებით მას მიადგა პირდაპირი (ინდივიდუალური) და უშუალო ზიანი. თუმცა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ვინაიდან მოსარჩელე გათავისუფლებული იყო მოსამართლის თანამდებობიდან და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად აღარ ჰქონდა უფლება დაეკავა საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა. სასამართლომ ცალსახად აღნიშნა, რომ მის მიერ სადავოდ ქცეული ადმინისტრაციულ-

[26] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 17 იანვრის ბს-794-794 (2კ-18) გადაწყვეტილება.

სამართლებრივი აქტი მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს არ აყენებდა პირდაპირ და უშუალო ზიანს. კანონიერ ინტერესში მოიაზრება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტით ისეთი ზემოქმედება, რომელიც ცვლის პირის სამართლებრივ მდგომარეობას იმგვარად, რომ ამით პირს შესაძლოა მიადგეს ზიანი.[27] ვფიქრობ, მოცემულ საქმეზე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს, თავიდანვე არ უნდა გამოეცა დანიშვნის შესახებ ბრძანება, ვინაიდან იგი თავიდანვე არ აკმაყოფილებდა კანონის მოთხოვნებს და შესაბამისად კანონიერი ინტერესიც თავიდანვე არ არსებობდა.

საინტერესოა კანონიერ ინტერესთან დაკავშირებული საკითხები როგორაა მოწესრიგებული სხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემებში. საქართველო პოზიტიური სამართლის ქვეყანას წარმოადგენს, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს დადგენილი აქვს შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა.[28]

გერმანია კონტინენტური სამართლის ქვეყანას წარმოადგენს[29], მათ ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში დეფინიციის დონეზე არ აქვთ გამახვილებული ყურადღება კანონიერ ინტერესზე, გარდა იმ ნაწილისა, სადაც მოსარჩელეს შეუძლია დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესი, რაც ზოგად ცნებას წარმოადგენს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გერმანული ადმინისტრაციული სამართალი განსხვავდება ქართული ადმინისტრაციული სამართლისგან იმ გაგებით, რომ მასში დეტალურადაა ჩაშლილი საპროცესო სამართლებრივი ნორმები. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ყურადღებას ამახვილებს მესამე პირთა კანონიერ ინტერესზე, კერძოდ, ნებისმიერი ინსტანციის დროს, მანამ სანამ საბოლოო გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი, სასამართლოს ან/და მხარეს შეუძლია ჩაერთოს ადმინისტრაციულ პროცესში, თუ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება მათ კანონიერ ინტერესზე ზეგავლენას

[27] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 2016 წლის 15 ივლისის №330310016001290355 (3ბ/787-16) განჩინება.

[28] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 33.

[29] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 17.

მოახდეს.[30] ამდენად, როგორც ქართულში, ისე გერმანიის ადმინისტრაციულ სამართალშიც ნაკლებადაა მოწესრიგებული კანონიერი ინტერესის ზოგადი ცნება. ორივე მათგანი ერთ საერთო მიზანზეა მიპყრობილი, უფლებადარღვეული პირის, სასამართლო წესით დაცვაზე, რაც გამოიხატება კანონიერი ინტერესის დაცვაზეც.

2.1. კანონიერი ინტერესის დასაბუთების პრობლემა

დღესდღეობით აღსანიშნავია ის, რომ საერთო სასამართლოები ხშირ შემთხვევაში დაუშვებლად ცნობენ ადმინისტრაციულ სარჩელებსა და სააპელაციო/საკასაციო საჩივრებს. ზოგადი პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში პირის მხრიდან შესაბამისი მტკიცებულების არ არსებობის გამო ვერ ხდება მათი უფლების რეალიზება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

აღსანიშნავია ის, რომ კანონიერი ინტერესის დაუსაბუთებლობა დიდ პრობლემას წარმოადგენს საერთო სასამართლოებისათვის, შედეგად სახეზე გვაქვს უამრავი გადაწყვეტილება მოთხოვნის არ დაკმაყოფილების შესახებ.

ამრიგად, საინტერესო იქნება მიმოვიხილოთ სასამართლო პრაქტიკა კანონიერი ინტერესის დასაბუთების ჭრილში.

ყურადსაღებია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაუშვებლად იქნა ცნობილი კასატორის საკასაციო საჩივარი, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მისი მხრიდან ვერ იქნა შესაბამისი მტკიცებულებებით დასაბუთებული ცრუმაგიერი მფლობელობის ფაქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კანონიერი ინტერესის არარსებობაზე, რადგან კასატორი ვერ ასაბუთებდა მოცემულ გარემოებას. უზენაესმა სასამართლომ განმარტა კანონიერი ინტერესის არსებობის სავალდებულოობა აღიარებით სარჩელთან

[30]Code of Administrative Court Procedure Of Germany, Session 65.

მიმართებით, კერძოდ, უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ კანონიერი ინტერესის არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია აღიაროს (დაადასტუროს) კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მხარე წარადგენს აღნიშნული გარემოების დამადასტურებელ უდავო მტკიცებულებებს. ასეთ შემთხვევაში კანონიერი ინტერესის არსებობა პირდაპირპროპორციულია ფაქტობრივ მტკიცებულებებთან მიმართებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის ვალდებულებაა უზრუნველყოს სასამართლოში თავისი მოთხოვნის დასაბუთება იმგვარად, რომ სასამართლომ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში, უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა კასატორის, შემოსავლების სამსახურის, საკასაციო საჩივარი, იმ ნაწილში, სადაც იგი ითხოვდა ერთი შპს-ს, მეორე შპს-დ ცრუმაგიერ მფლობელად აღიარებას საგადასახადო ვალდებულების შესრულების მიზნით. კასატორი აგრეთვე მიუთითებდა, რომ შპს-ს გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით შექმნილი ჰქონდა მეორე შპს, რომლითაც ჩვეულებრივ ახორციელებდა თავის საქმიანობას. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შპს-ს ცრუმაგიერი მფლობელობის ფაქტის დასამტკიცებლად საკმარისი მტკიცებულებები საგადასახადო ორგანოს არ წარუდგენია. სასამართლო განმარტავს, რომ ასეთი ცრუმაგიერი მფლობელობის ფაქტის დასადგენად სახეზე უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის განსხვავების შეუძლებლობა სხვა პირისაგან, რომელიც გამოყენებული იყო გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით.[31] მოცემულ შემთხვევაში შემოსავლების სამსახურმა ვერ დაამტკიცა შესაბამისი მტკიცებულებებით მისი კანონიერი ინტერესი, რის გამოც უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი.

[31] უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 2018 წლის 22 ნოემბრის ბს-979(კ-18) გადაწყვეტილება.

უზენაესი სასამართლო მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ყურადღებას ამახვილებს კანონიერი ინტერესის დასაბუთებულობაზე, კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის დაყენებისას, აუცილებელია დადასტურდეს ბათილად ცნობის კანონიერი ინტერესის არსებობა. ამასთანავე, მოსარჩელეს უნდა გააჩნდეს სარჩელში დასმული საკითხისადმი უშუალო უფლებადამცავი ინტერესი, რომ სამომავლოდ სასამართლომ მოახდინოს მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანა. [32]

კანონიერი ინტერესის დასაბუთებისას აუცილებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულმა აქტმა ისეთი ზემოქმედება მოახდინოს პირის უფლებრივ მდგომარეობაზე, რომ ამით პირს მიადგეს ზიანი. სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის რეალურად უნდა დადგეს სამართლებრივი შედეგი. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირის უფლებასთან და სამართლებრივ მდგომარეობასთანაა დაკავშირებული, ანუ გადაწყვეტილებით რეალურად უნდა მოხდეს პირის უფლებაზე სამართლებრივი ზეგავლენა კანონიერი ინტერესის დაცვის ჭრილში.[33] აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი ავალდებულებს სასამართლოებს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება იმგვარად, რომ იგი კანონიდან და ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარეობდეს. [34]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღესდღეობით პრობლემას წარმოადგენს კანონიერი ინტერესის დასაბუთება იმ გაგებით, რომ სასამართლობი ხშირ შემთხვევაში დაუშვებლად ცნობენ სარჩელებს.

---

[32] უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 04 ოქტომბრის, ბს-46-46(კ-18) გადაწყვეტილება.

[33]გიორგაძე ლ., აქტის არარად აღიარების თაობაზე ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენის წინაპირობები და პირის კანონიერი ინტერესის სამართლებრივი საფუძვლები, სტატიათა კრებული, ადმინისტრაციული სამართლის პრობლემები, 2013, 24.

[34] იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, 7932/03.

2.2. კანონიერი ინტერესის განმარტების ასპექტები

თანამედროვე სამართლებრივ სისტემაში არ არის განსაზღვრული კანონიერი ინტერესის ლეგალური დეფინიცია. საკმაოდ მცირეა სამართლებრივი ლიტერატურად, რომელიც ხშირ შემთხვევაში ირიბად საუბრობს და მიუთითებს კანონიერი ინტერესის არსზე.

მოსარჩელის კანონიერი უფლება დგინდება მატერიალური ნორმის საფუძველზე, რომელიც შეიძლება იყოს კანონი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება, ან ადმინისტრაციული ხელშეკრულება.[35]

ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში განსაზღვრული „კანონიერი ინტერესი“ გულისხმობს იმას, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა განიმარტოს პირის კანონიერი ინტერესის არსებობა-არარსებობის ფაქტი.[36]

ადმინისტრაციული პროცესისათვის დადგენილი დასაშვებობის კრიტერიუმების ანალიზი ცხადყოფს იმას, რომ მოსარჩელის უფლებებისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ან/და კანონიერი ინტერესების ხელყოფის ფაქტის დაუდასტურებლობა გამორიცხავს სასამართლოს მხრიდან პროცესის მე-2 სტადიაზე გადასვლის შესაძლებლობას, სწორედ აღნიშნულითაა განპირობებული სასამართლოს ვალდებულება სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე იმსჯელოს მოსარჩელის უფლებებთან მიმართებაში სადავო აქტის ზემოქმედების ფაქტორზე.[37] [38] [39] [40]

---

[35] კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილის, 2008, 344.

[36] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2008, 240.

[37] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი.

[38] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი.

[39] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი.

[40] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლი.

კანონიერი ინტერესის დადგენისათვის შეიძლება გამოიყოს ორი ასპექტი: კერძოდ, კანონიერ ინტერესში შეიძლება მოიაზრებოდეს პირის სამართლებრივი უფლების დაცვა და სხვა მატერიალური (ფინანსური) ინტერესი.[41]

სამართლებრივი უფლების დაცვა სასარჩელო წესით სარჩელის აღძვრის სუბიექტური უფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა. ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში სარჩელის აღძვრის უფლების არსებითი ელემენტია უფლების არსებობა მატერიალური შინაარსით, რომ რეალურად მოსარჩელეს გააჩნია კანონიერი ინტერესი იმისა, რომ მოითხოვოს უფლების სამართლებრივი წესით დაცვა. მოსარჩელეს გააჩნია მოთხოვნის კანონიერი ინტერესი, ხოლო მოპასუხე წარმოადგენს იმ პირს, რომელმაც უნდა გააქარწყლოს მოსარჩელის მოთხოვნა დარღვეული უფლების შესახებ.[42]

რაც შეეხება სხვა მატერიუალურ (ფინანსურ) ინტერესს, რომელიც აუცილებლად გამომდინარეობს სამართლებრივი უფლების დაცვაშიც, გულისხმობს იმას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულმა აქტმა ან/და ქმედებამ პირის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენა მოახდინა, ნებისმიერი სარჩელის აღძვრისას პირს აქვს კანონიერი ინტერესი თავიდან აიცილოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე დადგენილი ვალდებულებები. მოცემულ შემთხვევაში დეტალურად ფასდება პირის მატერიალური, ფინანსური ინტერესი და მას შეუძლია ადმინისტრაციულ თუ სასამართლო დონეზე მოითხოვოს უფლების დაცვა.[43]

---

[41] გიორგაძე ლ., აქტის არარად აღიარების თაობაზე ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენის წინაპირობები და პირის კანონიერი ინტერესის სამართლებრივი საფუძველები, სტატიათა კრებული ადმინისტრაციული სამართლის პრობლემები, 2013, 23.

[42] უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2014 წლის 25 თებერვლის, №ბს-64-63(გ-14) გადაწყვეტილება.

[43] გიორგაძე ლ., აქტის არარად აღიარების თაობაზე ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენის წინაპირობები და პირის კანონიერი ინტერესის სამართლებრივი საფუძვლები, სტატიათა კრებული, ადმინისტრაციული სამართლის პრობლემები, 2013, 24.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კანონიერ ინტერესში შეიძლება მოიაზრებოდეს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ნორმის დარღვევა, მაგალითისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს პატივისა და ღირსების უფლების დარღვევა. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალოს ქმედების განხორციელება და პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაცია საჯაროდ უარჰყოს. მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია სახეზე გვქონდეს ადმინისტრაციული ორგანოსაგან გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც პირი მოითხოვს ქმედების განხორციელებას, რომელიც ინფორმაციის უარყოფაში გამოიხატება.[44]

საინტერესოა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილობასთან დაკავშირებით, რომელმაც ამავდროულად განმარტება კანონიერ ინტერესთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი პირის უფლებაზე და კანონიერ ინტერესზე გავლენას უნდა ახდენდეს, ანუ სარჩელის შემტანს სარჩელში დასმული საკითხისადმი უშუალო უფლებადამცავი ინტერესი უნდა ჰქონდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით „ინტერესის არსებობა ობიექტურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული, ასეთ მონაცემებს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენენ სარჩელის აღძვრის საბაბის ფაქტები - უფლების დარღვევა, დარღვევის საშიშროება“. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივრის ავტორის მოთხოვნა საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობის შესახებ, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში

[44] კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, 367.

(სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაცემული საკუთრების უფლების შესახებ მოწმობა მას პირდაპირ და უშუალო ზიანს არ აყენებდა. ზიანი უნდა იყოს პირდაპირი და არა სამომავლო ხასიათის, რასაც ადასტურებდა სააპელაციო საჩივრის ავტორი.[45]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირის მხრიდან კანონიერი ინტერესის დასაბუთებისათვის აუცილებელია, რომ პირს უშუალოდ დაერღვეს უფლება, რომელიც მას აყენებს პირდაპირ და უშუალო ზიანს. კანონიერი ინტერესის გამყარებისთვის მნიშვნელოვანია იმ მტკიცებულებების არსებობა, რომელიც მოსამართლეს მისცემს საშუალებას მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

[45] სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 ნოემბრის, №33031001500105551O გადაწყვეტილება.

3. კანონიერი ინტერესი, როგორც სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა

საქართველოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანია ადამიანის ღირსებისა და ინდივიდუალური თავისუფლების დაცვა, ამიტომ იგი მატერიალურ სამართლებრივ სახელმწიფოს მიეკუთვნება. პირის კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით არსებობს მთელი რიგი პროცესუალური თუ ფორმალური ელემენტი, რომელიც მიმართულია უფლების დაცვისაკენ, კერძოდ, სახელმწიფომ მმართველობა უნდა განახორციელოს კანონიერების საფუძველზე, რაც ფართო გაგებით ნიშნავს ხელისუფლების სამივე შტოს მხრიდან ეფექტურ მმართველობას. ამასთანავე, მისი მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლებრივი უსაფრთხოება, რომელიც პირდაპირპროპორციულია პირის კანონიერი ინტერესის დაცვაში. გარდა ამისა, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გადაწყვეტილებები უნდა იქნეს დასაბუთებული და რაც ყველაზე მთავარია, პირს უნდა გააჩნდეს სასამართლოში ეფექტური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის გარანტია, რომელიც დაჩქარებულ სამართლებრივ დაცვასაც გულისხმობს.[46]

ადმინისტრაციული საპროცესო სამართალწარმოებისას საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ დავებს, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ უშაულოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის დარღვევის შედეგად უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ საქმის განხილვა.[47] სწორედ, რომ აღნიშნული განასხვავებს მას კერძო სამართლისგან, სადაც ნების ავტონომიის პრინციპი

---

[46] გაწერელია ა., გეგენავა დ., ზომერმანი კ.პ., კობახიძე ი., როგავა ზ., სვანიშვილი ს., ტურავა პ., ყალიჩავა კ., ხუბუა გ., საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, სახელმძღვანელო, თბილისი, 2016, 23.

[47] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლი.

მოქმედებს, ამიტომ, კერძო სამართალი ადმინისტრაციული სამართლისაგან განსხვავებით უფრო ფართო სპექტრს მოიცავს.[48]

ადმინისტრაციული პროცესი იცნობს სარჩელის სახეებს, რომლებსაც დასაშვებობის საერთო წინაპირობა გააჩნიათ, ეს არის პირის კანონიერი ინტერესი.[49] [50] [51] [52]

აღნიშნული სარჩელების გათვალისწინებით, ქვემოთ დეტალურად განვიხილავ საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს დასაშვებობის ეტაპზე, კანონიერი ინტერესის კონტექსტში.

3.1 ადმინისტრაციული პროცესით გათვალისწინებული სარჩელის სახეების მიზნები კანონიერი ინტერესის კონტექსტში

აღსანიშნავია ის, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო პროცესის ეტაპზე მოსარჩელეს უწევს შესაბამისი მოთხოვნის სწორად ჩამოყალიბება. მოთხოვნა დამოკიდებულია იმაზე რეალურად პირს გააჩნია თუ არა მოთხოვნის კანონიერი ინტერესი, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი ფაქტრობრივი, სამართლებრივი საფუძვლების არსებობასა და შესაბამისი ზიანის მიყენებაში. საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომლითაც მან დატოვა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდება, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, მოხსენებითი ბარათით, შტატების შემცირების მიზნით გაათავისუფლა ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელმაც

[48] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 2.
[49] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი.
[50] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი.
[51] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი.
[52] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლი.

მიმართა პირველი ინსტანციის სასამართლოს და მოითხოვა მხოლოდ ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (გათავისუფლების შესახებ) ბათილად ცნობა, იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ აქტი არ იყო კანონთან შესაბამისობაში. მოსარჩელე მის კანონიერ ინტერესს ამტკიცებდა იმით, რომ გათავისუფლებით მას მიადგა ფინანსური ზიანი, შესაბამისად, მისი მხრიდან განაცდურიც იქნა მოთხოვნილი. პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და დავის გადაუწყვეტლად დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, ვინაიდან განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და მას არ მოუხდენია გათავისუფლების შესახებ აქტის დასაბუთება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სასაპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ და მოითხოვა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება. საინტერესოა მეორე ინსტანციის მსჯელობა იმ ნაწილში, სადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაჩივრების ფაქტს ეხება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების გამოკვლევის გარეშე მოხდა პირის გათავისუფლება, ვინაიდან გათავისუფლება მხოლოდ მოხსენებით ბარათს ეყრდნობოდა, სადაც ეწერა, რომ მოსარჩელეს პროფესიული უნარ-ჩვევები უფრო ნაკლები ჰქონდა, ვიდრე სხვა თანამშრომლებს, რომლებიც არ გათავისუფლებულან. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს გააჩნდა კანონიერი ინტერესი იმისა, რომ მოეთხოვა სასამართლო წესით თავისი დარღვეული უფლების აღდგენა. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის პროფესიული უნარ-ჩვევები ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუმოწმებია. მას უნდა ჩაეტარებინა ტესტირება თითოეული მოხელისათვის, უნდა მიეცათ შესაბამისი დავალება და აღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება, რაც მოცემულ შემთხვევაში

ადმინისტრაციულ ორგანოს არ განუხორციელებია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დატოვა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში.[53] ვფიქრობ, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს შეეძლო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნასთან ერთად მოეთხოვა ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემაც სამსახურში აღდგენის შესახებ, ვინაიდან ის ფაქტობრივი საფუძვლები, რაც მოცემულ საქმეში არსებობა, მას მისცემდა შესაძლებლობას აღდგენილიყო სამსახურში და შემდგომ მოეხდინა ადმინისტრაციულ ორგანოს მათთვის რაიმე სახის ტესტის ჩატარება.

კანონიერი ინტერესის მატარებელი სუბიექტები არ უნდა გავიგოთ ისე, რომ მხოლოდ ფიზიკური ან/და იურიდიული პირები არიან, ასეთი სუბიექტი შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოც იყოს. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია დადგინდეს თუ ვინ არის მოსარჩელე მხარე, სახელმწიფო თუ ფიზიკური/იურიდიული პირი.

საინტერესოა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. მოცემულ საქმეში პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა შემოსავლების სამსახურის სასარჩელო განცხადება ცრუმაგიერი მფლობელის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შემოსავლების სამსახურს არ ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები ყადაღის დადების აუცილებლობასთან დაკავშირებით და მას მხოლოდ დასაბუთებული ჰქონდა, თუ რატომ იყო საჭირო ყადაღის გავრცელება ცრუმაგიერი მფლობელის ქონებაზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სარწმუნოდ

[53] სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 15 თებერვლის, №3ბ/2095-17 გადაწყვეტილება. .

დაადასტურებს მხარე მისი გამოყენების კანონიერ ინტერესს. შესაბამისად, ვინაიდან შემოსავლების სამსახურს არ ჰქონდა შესაბამისი მტკიცებულებები წარდგენილი და მხოლოდ შესაბამისი დასაბუთების ვარაუდით იყო შემოფარგლული, ამიტომ შემოსავლების სამსახურის სასარჩელო განცხადება არ იქნა დაკმაყოფილებული. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც დააკმაყოფილა შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა ყადაღის დადების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას მთავარია მოსარჩელემ დაასაბუთოს ის, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობით, შეიძლება საფრთხე შეექმნას ვალდებულების შესრულებას, ანუ ქონების გასვისების ალბათობა უფრო მაღალია, ვინაიდან ნივთი თავისუფალ მდგომარეობაში არსებობს და იძლევა მისი განკარგვის შესაძლებლობას. შემოსავლების სამსახურის კანონიერი ინტერესი იმაში მდგომარეობდა, რომ უზრუნველყოფის ღონიძიების გამოყენებისას მისი მხრიდან უნდა დასაბუთდეს ის ფაქტი, რომ ქონებაზე ყადაღის გავრცელების გარეშე, შეიძლება საფრთხე შეექმნას ვალდებულების შესრულებას. მოცემულ შემთხვევაში საგადასახადო ვალდებულებას. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა და ყადაღა გაავრცელა ცრუმაგიერი მფლობელის ქონებაზე.[54]

ვფიქრობ, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მართებულია იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ მოსარჩელეს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას არ უნდა მოეთხოვოს მაღალი სტანდარტით კანონიერი ინტერესის დასაბუთება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისას მოსარჩელეს მხოლოდ მოეთხოვება იმ გარემოებების მითითება, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის გამოუყენებლობა

[54] სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 იანვრის, N3ბ/2727-17წ გადაწყვეტილება.

გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.[55] საბოლოო გადაწყვეტილების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, თუ მოპასუხეს მიადგა რაიმე სახის ზიანი, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოსთხოვოს შესაბამისი ზიანის/ზარალის ანაზღაურება.[56] აქედან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა არ იყო მართებული, რომლითაც მან არ დააკმაყოფილა მოთხოვნა მტკიცებულებების არ ქონის გამო.

კანონიერი ინტერესი პირდაპირპროპორციულია ზიანის არსებობის ფაქტთან დაკავშირებით. სახელმწიფოს მხრიდან, მოქმედებით თუ უმოქმედობით, პირისათვის ზიანის მიყენებისას, აუცილებელია არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.[57] აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც სახელმწიფო, ასევე მუნიციპალიტეტი, თავიანთი ბიუჯეტით არიან პასუხისმგებელნი მიყენებული ზიანისათვის.[58]

საინტერესოა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ძალაში იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების შესახებ. მოცემულ საქმეში, ძლიერი ქარის გამო მოტეხილმა ხის ტოტმა დააზიანა მოსარჩელის ავტომანქანა. შედეგად, დაზიანდა ავტომანქანის სახურავი, მარჯვენა კუთხე და წინა საქარე მინა. აღნიშნულთან დაკავშირებით მოსარჩელემ მიმართა პირველი ინსტანციის სასამართლოს და მოითხოვა ქმედების განხორციელება, კერძოდ, ზიანის ანაზღაურება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, რომ აღნიშნული ხე, რომელიც წარმოადგენდა ფოთოლმცვენს, მექანიკურად დაზიანებული იყო. პირველი

[55] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი.
[56] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი.
[57] სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი.
[58] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი.

ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის კანონიერი ინტერესი ზიანის ანაზღაურების ნაწილში, თუმცა გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობისა და გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისას მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან აპელანტ ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებდა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ჩაიდინა მმართველობითი ღონისძიების, მოქმედების განუხორციელებლობა. არ უზრუნველყო მასზე დაკისრებული ფუნქციის შესრულება, რამაც დამდგარი ფაქტობრივი შედეგით ფიზიკურ პირს მიაყენა მატერიალური ზიანი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო არ იზიარებს აპელანტის პოზიციას მისი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებების არსებობის თაობაზე.[59]

აღიარებითი სარჩელი უკიდურეს ხერხს წარმოადგენს მოსარჩელისთვის უფლების დაცვის კუთხით, ვინაიდან აღიარებითი სარჩელი რომ დასაშვებად იქნეს ცნობილი, აუცილებელია მოსარჩელეს არ შეეძლოს აღძრას სარჩელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 24-ე მუხლების საფუძველზე.[60] აღნიშნულ შეზღუდვას სხვანაირად სუბსიდიარობის პრინციპსაც უწოდებენ.[61]

სწორედ, ზემოხსენებული შეზღუდვის გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ თავის

---

[59] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 ოქტომბრის, №3/ბ-1313-15 განჩინება.

[60] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლი.

[61] პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრაციულ საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლისათვის, თბილისი, 2010, 69.

გადაწყვეტილებაში მისცა შეფასება, რომ აღიარებითი სარჩელი განსხვავდება შეცილებითი და მავალდებელი სარჩელის სახეებისგან.[62]

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლი, რომელიც ეხება აღიარებით სარჩელს და სადაც განსაზღვრულია პირის კანონიერი ინტერესის არსებობა, გულისხმობს იმას, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა განიმარტოს პირის იურიდიული/კანონიერი ინტერესი.[63] აღიარებითი სარჩელი რთული სარჩელის სახეს წარმოადგენს, რომელიც არ გამომდინარეობს მატერიალური უფლების განხორციელებიდან.[64] უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონში გათვალისწინებული კანონიერი ინტერესი უნდა გააჩნდეს მხოლოდ მოსარჩელეს, რადგან სასამართლოს მეშვეობით მოხდეს მისი აღიარება.[65] აღიარებითი სარჩელი უნდა იქნეს სარჩელშივე დასაბუთებული და მითითებული უნდა იყოს ის საფუძვლები, რომლებითაც მოსარჩელე გაამყარებს თავის მოთხოვნას.[66]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ერთ-ერთ საქმეზე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა: კერძოდ, უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ აღიარებითი სარჩელით დავის გადაწყვეტა არ იწვევს უშუალოდ დავის გადაწყვეტას. ვინაიდან აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა მოსარჩელის კანონიერი ინტერესია, ამიტომ სასამართლომ უნდა გაარკვიოს მოსარჩელის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ მოსარჩელის სუბიექტური ხასიათი.[67]

საინტერესოა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არ დააკმაყოფილა კასატორის (თავდაპირველი მოსარჩელის) საკასაციო

---

[62] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ივნისის, ბს-353-340(კს-08) გადაწყვეტილება.
[63] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლი.
[64] კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, 359.
[65] იქნე, 167.
[66] იქვე, 377.
[67] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 ივლისის, ბს-849_813(კს-09) გადაწყვეტილება.

საჩივარი, ვინაიდან კასატორს შეეძლო მოთხოვნა არა აღიარებითი სარჩელით აღეძრა, არამედ აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით. მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ისანი-სამგორის და მთაწმინდა კრწანისის საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო მოთხოვნისა და ქალაქ თბილისის საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო გირავნობის იპოთეკის უფლების შესახებ შეტყობინების არარა აქტებად აღიარება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღიარებითი სარჩელი წარმოადგენს სარჩელის ერთ-ერთ ფორმას, რომლითაც დგინდება უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა არარსებობის ფაქტი. აღიარებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობას წარმოადგენს პირის კანონიერი ინტერესი. კერძოდ, სახეზე უნდა იყოს პირის დარღვეული უფლების რეალური საშიშროება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პირს გააჩნია მოთხოვნის კანონიერი ინტერესი, მას შეუძლია მიმართოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე და მოთხოვოს აქტის ბათილად ცნობა, ამიტომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა კერძო სარჩივრის ავტორის მოთხოვნა.[68]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეული სარჩელის სახის გათვალიწინებით მოსარჩელეს გააჩნია დიდი წინდახედულობის ვალდებულება, ვინაიდან, როგორც ზემოთ განხილული გადაწყვეტილებებიდანაც იკვეთება, მოსარჩელის კანონიერი ინტერესის არსებობა არ კმარა იმისთვის, რომ საერთო სასამართლოებმა დააკმაყოფილონ მოსარჩელის მოთხოვნა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

[68] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ივნისის, ბს-353-340(კს-08) გადაწყვეტილება.

3.2. კანონიერი ინტერესისათვის პოტენციური ზიანის განსაზღვრა

ადმინისტრაციული სამართლისთვის ზიანის ცნება უცხო არ არის, გარდა ამისა, როგორც ადმინისტრაციული კანონმდებლობა განსაზღვრავს სახელმწიფოს მხრიდან უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს, ამავდროულად სამოქალაქო კანონმდებლობაც აწესრიგებს მას.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი არეგულირებს პირად არაქონებრივ უფლებებს, რომლის დამრღვევი ადმინისტრაციული ორგანოცაა. მას შეუძლია შელახოს პირის პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლობა და საქმიანი რეპუტაციაც.[69] ზიანის ანაზღაურების მთავარი მიზანი არის იმ მდგომარეობის ანაზღაურება, რომელიც იარსებებდა რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებელი გარემოება.[70] ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო/მუნიციპალიტეტი, ასევე საჯარო მოსამსახურეც, რომლებიც განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას.[71]

ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრისათვის აუცილებელია მივიჩნიოთ ისეთი პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს.[72] გამოყოფენ ზიანის ანაზღაურების ორ საშუალებას, ესენია: ზიანის მიყენებამდე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენა, იგივე რესტიტუცია და განცდილი ზიანის ფულადი სახით

[69] სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი.
[70] სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი.
[71] სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი.
[72] სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი.

ანაზღაურება, რასაც კომპენსაცია ეწოდება.[73] სახელმწიფო, როგორც ერთგვარი იურიდიული პირი, ვინაიდან წარმოადგენს განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი ადამიანების ერთობას,[74] გააჩნია ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა და ვალდებულია დროულად მოახდინოს იმ მეთოდებითა და საშუალებებით ზიანის ანაზღაურება, რომლებიც საბოლოოდ პირის კანონიერ ინტერესს აღადგენს და დაიცავს.[75] საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი დადგა მართლზომიერი მოქმედებით, ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირი არ არის ვალდებული აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.[76] როგორც ჩანს სახელმწიფოს მხრიდან ზიანის მიყენებისათვის აუცილებელია, რომ არსებობდეს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, რომლითაც პირს მიადგება ზიანი.[77]

სახელმწიფოს მხრიდან პირის კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით შეიძლება გამოვყოთ ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლები: კერძოდ, საზოგადოებაში არსებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საჯარო მოხელე თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით და ამავე დროს არსებობს პრეზუმფცია, რომ სახელმწიფო ზიანის ანაზღაურებისას ყოველთვის გადახდისუნარიანია.[78]

საკმაოდ რთულია საკითხი იმ კუთხით, რომ ერთმანეთს უპირისპირდება სახელმწიფო ინტერესი და მოქალაქის კანონიერი ინტერესი. აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზა არის ის, რომ საჯარო მოხელეებსა და

---

[73] ბიჭია მ., გრიგოლ რცხილაძის სტატიის - „მორალური ზიანის ანაზღაურება" - ანალიზი, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, N8, 2017, 80.

[74] გველუკაშვილი ი., გოგიაშვილი შ., ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისთვის, თანამედროვე სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2017, 209.

[75] საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი.

[76] ბიჭია მ., არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N3 (51)'16, 101

[77] სამოქალაქო კოდექსის 992 მუხლი.

[78] ტურავა პ., წკეპლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 144.

სახელმწიფოს დაეკისროთ პასუხისმგებლობა, როგორც ინდივიდუალურად, ასევე სოლიდარულადაც, შესაბამისად, მოქალაქის კანონიერი ინტერესის დაცვის უზრუნველყოფა გარანტირებული იქნება, თუნდაც ზიანის ანაზღაურების კუთხით.[79] საინტერესოა ისიც, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა, „ჯერ კიდევ, მეთორმეტე საუკუნეში, ცნობილი სამართალმცოდნე ბრექტონი ამბობდა, რომ მეფეს მფარველობს ღმერთი და იცავს კანონი და სხვა არაფერი ქმნის მეფეებს კანონის გარდა“.[80]

აღსანიშნავია ის, რომ სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე, რაც გულისხმობს სასამართლოს მხრიდან სარჩელის ფორმალური მხარის შემოწმებას ადმინისტრაციულ კანონმდებლობასთან მიმართებით,[81] მოსარჩელე სავარაუდო დონეზე ასაბუთებს მიყენებული ზიანის ფაქტს.[82] რაც შეეხება ზიანის მიყენების რეალურ ფაქტს საბუთდება დასაბუთებულობის ეტაპზე.[83]

ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში არის მთელი რიგი სამართლებრივი ნორმები, რომელთა დაცვის ვალდებულება გააჩნია ადმინისტრაციულ ორგანოს. აქ იგულისხმება მინიჭებული უფლებამოსილებათა კეთილსინდისიერად და კანონის შესაბამისად გამოყენება. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს ბრალეულად, ამიტომ მას უწევს მტკიცების ტვირთი. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულობა, იგი ვალდებულია აღადგინოს

---

[79] იქვე, 143.

[80] კიკილაშვილი გ., არარა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N4(35)'12, 82.

[81] კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, 298.

[82] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული სარჩელის ფორმა.

[83] კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, 298. .

სრულად მოსარჩელის კანონიერი ინტერესი ზიანის ანაზღაურებით.[84] საგულისხმობა ისიც, რომ ზიანი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი უნდა იყოს.[85]

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, კანონიერი ინტერესი პირდაპირპროპორციულია კანონიერი ინტერესის არსებობის ფაქტთან მიმართებით. სწორედ, რომ სასამართლოა ვალდებული დასაშვებობის ეტაპზე შეამოწმოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სარჩელის სახეების დასაშვებობის წინაპირობები.[86] კერძოდ, ინდ აქტის დასაშვებობის წინაპირობად სწორედ რომ ზიანის არსებობაა აუცილებელი. აქ იგულისხმება, მოსარჩელის სავარაუდო ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცება, რომ შეფასდეს მოსარჩელის სუბიექტური უფლების დარღვევა.[87] ასევე, სავარაუდო დონეზე მტკიცდება ზიანის მიყენების ფაქტი ინდ აქტის გამოცემასთან[88], ქმედების განხორციელებასთან[89] და აღიარებით სარჩელთან მიმართებით.[90]

საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა კასატორის (თავდაპირველი მოსარჩელის) საკასაციო საჩივარი. საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ მოსარჩელეს 1 წლის განმავლობაში უკანონოდ ჰქონდა თავისუფლება შეზღუდული, რაც დასტურდება თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით.

აღნიშნული განაჩენის საფუძველზე მოსარჩელემ მიმართა ადმინისტრაციულ სასამართლოს და მოითხოვა მორალური ზიანის

---

[84] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 ივნისის, N3ბ/762-14 გადაწყვეტილება.
[85] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 ოქტომბრის, №3/ბ-1313-15 გადაწყვეტილება.
[86] კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, 298.
[87] იქვე, 298.
[88] იქვე, 299.
[89] იქვე. 299.
[90] იქვე, 300.

ანაზღაურება, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს უკანონოდ ჰქონდა მისთვის თავისუფლება შეზღუდული. აღნიშნულის გათვალისწინებით, იგი მიუთითებდა, რომ მისი კანონიერი ინტერესი პირდაპირ და უხეშად შეილახა, ვინაიდან მას, როგორც ბრალდებულ პირს, საჭიროებიდან გამომდინარე დიდი რაოდენობის ფინანსური ზარალი მიადგა და პლუს, სულიერი ტანჯვაც და მორალური ზიანიც განიცადა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის უკანონო დაკავება და პატიმრობა წარმოადგენს მორალურ ზიანს, მით უფრო, თუ სახეზეა მიზეზობრივი კავშირი, სახელმწიფო ორგანოების ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამიტომ, საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა და აღადგინა პირის კანონიერი ინტერესი ზიანის ანაზღაურების კუთხით.[91]

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ზიანი არსებობა/არარსებობა, რომელიც შეფასებითი ცნებაა, აუცილებელია სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში სრულად და ზუსტად ასახოს, ვინაიდან მნიშვნელოვანი ფაქტების არასწორად დადგენამ და ან უფლებამოსილების არასაკმარისად გამოყენებამ საფრთხე შეუქმნას გადაწყვეტილების დამაჯერებლობას.[92]

3.3. კომბინირებული სარჩელი, როგორც უფლების დაცვის ეფექტური საშუალება

ადმინისტრაციული დავის სასამართლოს წესით გადასაწყვეტად საჭიროა კონკრეტული ფორმის შერჩევა, რომელსაც სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს და ამავე დროს, ყველაზე უკეთ დაიცავს პირის უფლებას. მოსარჩელის უფლებების ეფექტური დაცვა, ზოგიერთ შემთხვევაში, შეუძლებელი ხდება ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით

[91] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის, ბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილება.

[92]საქართველოს უზენაესი სასამართლო., რეკომენდაციები სასამართლოს გადაწყვეტილების შედგენისას გასათვალისწინებელი ძირითადი წესების შესახებ, თბილისი, 2010, 08.

გათვალისწინებული სარჩელის ერთ-ერთი ფორმის გამოყენების მეშვეობით და საჭირო ხდება პირის მიერ სარჩელის შედგენისას ჩამოყალიბებულ იქნეს ამ სარჩელთა სახეების კომბინაციებით ერთი მოთხოვნა, რათა მოსარჩელემ ეფექტურად დაიცვას მისი კანონიერი ინტერესი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მოსარჩელემ აღიარებითი სარჩელი აღძრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ წინააღმდეგ და მოითხოვა სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნეს მიწის ნაკვეთზე მართლზომიერი სარგებლობის უფლება. თბილისის საქალაქო სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა, თუმცა მოპასუხეებმა გაასაჩივრეს აღნიშნული გადაწყვეტილება იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ მოსარჩელეს ადმინისტრაციული ორგანოსგან უნდა მოეთხოვა მართლზომიერ მფლობელობაში საკუთრების უფლების აღიარება, რაც სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება წარმოადგენს აუცილებელ პროცესუალურ წინაპირობას იმისათვის, რომ მოსარჩელემ მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 23-ე მუხლებით გათვალისწინებული კომბინირებული სარჩელით და ისე დაიცვას მისი კანონიერი ინტერესი.

სასამართლომ განსაზღვრა, რომ აღიარებითი სარჩელით მიმართვის შემთხვევაში, ვერ მოხდებოდა მისი უფლების რეალიზაცია და ვერ დაკმაყოფილდებოდა მოთხოვნა. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც სრულიად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ კომბინირებული სარჩელი წარმოადგენს ისეთი უფლების დაცვის საშუალებას, რომლის დროსაც პირს ზუსტად შეუძლია მიაღწიოს რამდენიმე სამართლებრივ შედეგს, თუ სწორად მოხდება სასარჩელო

მოთხოვნის ჩამოყალიბება.[93] აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ზუსტად ჩანს ის სამართლებრივი პრობლემა, რაც ადმინისტრაციულ სარჩელთან მიმართებითაა. ზუსტი და სწორი მოთხოვნის ჩამოყალიბება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ასახა, თუ როგორ უნდა ემოქმედა მოსარჩელეს თავისი უფლების დაცვის მიზნით. კანონიერი ინტერესიც სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეს შეიძლება თავიდანვე გააჩნდეს მოთხოვნა, არასწორი სარჩელის აღძვრის გამო სასამართლოს გადაწყვეტილებით ვერ აღდგეს მისი კანონიერი ინტერესი.

მხარეებმა სარჩელის წარდგენის შემთხვევაში აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რომ სარჩელის სახის სწორად შერჩევა პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული მის სამართლებრივ შედეგებთან, შესაბამისად, სწორად შერჩეული სარჩელის სახე ზრდის შანსს დარღვეულ უფლებაში აღდგენის. ზემოთ განხილული უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან მაგალითი ცხადყოფს, რომ არასწორად შერჩეულმა სარჩელის სახემ მოსარჩელე მხარე დააზარალა და შედეგობრივად მისთვის გასაჩივრების მიუხედავად არაფერი შეცვლილა. გონივრულად შერჩეულ სარჩელს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მხარისთვის, ასევე სასამართლოსთვის და, რა თქმა უნდა, უფლების ეფექტურად რეალიზების თვალსაზრისით.

ხშირია წაგებული საქმეების პრაქტიკა, მაშინ როდესაც ფაქტობრივი გარემოებები სრულად იძლევა შესაძლებლობას საქმის წარმატებით გადაწყვეტის. ზუსტად უნდა განისაზღვროს ყოველი შემთხვევა, შეფასდეს ინდივიდუალურად და შეფასების საფუძველზე უნდა შეირჩეს უფლების დაცვის შესაბამისი საშუალება. სწორედ ეს ფაქტორი ართულებს ადმინისტრაციულ პროცესს სამოქალაქო პროცესთან შედარებით.

---

[93] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება Nბს-510-503 (კს-15).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა ნამდვილად იძლევა უფლების დაცვის შესაძლებლობას. მთავარია, მხარემ გამოიყენოს ის სწორად და მასზე დაფუძნებული მოთხოვნით კანონიერება აღადგინოს.

კომბინირებული სარჩელის გამოყენების აუცილებლობა ხშირად დგას. კერძოდ, 22-ე და 23-ე მუხლებთან მიმართებით. აღსანიშნავია ის, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს, რომელიც მიიღება მხოლოდ კანონმდებლობის საფუძველზე,[94] მისი კანონიერების დადგენის მიზნით სასამართლოების მხრიდან ხდება ისეთი აღმჭურველი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც მხარის კანონიერი ინტერესის აღდგენა არ ხდება. მხარეებს ხშირ შემთხვევაში ჰგონიათ, რომ შედეგის მიღწევა მხოლოდ 22-ე მუხლით არის შესაძლებელი. პრაქტიკა ხშირად გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ბათილი აქტის გაუქმებით ჩვენთვის სასურველ სამართლებრივ შედეგზე ვერ გავდივართ. სწორედ მოცემულ შემთხვევაში დგება დღის წესრიგში კომბინირებული სარჩელის გამოყენების აუცილებლობა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, უნდა მოხდეს ფაქტობრივი გარემოებების ზუსტად შეფასება, შესაძლო შედეგების განჭვრეტა და ამ შედეგამდე სწორად მისასვლელი გზის პოვნა, რაც გამოიხატება სარჩელის სახის სწორად შერჩევაში, საჭიროების შემთხვევაში, კომბინირებული სარჩელის გამოყენების აუცილებლობაში.

ასევე მნიშვნელოვანია, სანამ უშუალოდ სასამართლოს მივმართავთ, გამოვიყენოთ ადმინისტრაციულ ორგანოში ერთჯერადი გასაჩივრების შესაძლებლობა. მოქალაქეთა უმრავლესობა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებებთან მიმართებით ნიჰილისტურად არის განწყობილი და ადმინისტრაციული გასაჩივრების გვერდის ავლით ცდილობს თავიანთი უფლების დაცვას, რაც არასწორია და აღნიშნული სტრატეგია უფრო მეტად აბრკოლებს მოქალაქეს კანონიერებისა და სამართლიანობის ძიების გზაზე.

მათავარია, მოქალაქეებმა გამოიყენონ მის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი რესურსი, რათა უფლების დაცვა მოქალაქის ხელში

[94] ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

უბრალო ფორმალობად კიარ იქცეს, არამედ რეალური დაცვის საშუალებად, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, ადმინისტრაციული ორგანოს იმიჯის გაზრდას, სასამართლო სისტემაში ხელოვნური ბარიერების მოხსნას, რაც მხარის მიერ არასწორად შერჩეული დაცვის საშუალების გამოყენებით არის განპირობებული.

საბოლოოდ, მოსარჩელის მთავარ მიზანსაც დარღვეული უფლების აღდგენა და მისი კანონიერი ინტერესის დაცვა წარმოადგენს, რომელიც რიგ შემთხვევებში სარჩელის კომბინაციით მიიღწევა.

4. ადმინისტრაციული სარჩელის შედეგები

სასამართლოს დადგენილება, რომლითაც არსებითად წყდება საქმე, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით.[95] ნათელია ის, რომ აღსრულების გარეშე, სასამართლო გადაწყვეტილებას აზრი ეკარგება, რადგან ამგვარი გადაწყვეტილებით დადასტურებული უფლება და კანონიერი ინტერესი განუხორციელებელი რჩება.[96] საინტერესოა ის, რომ სასამართლოს მიერ უფლებადამდგენი (აღიარებითი) გადაწყვეტილებები იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება.[97] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს მხარის მხრიდან გადაწყვეტილების აღსრულების მოლოდინის შესახებ, კერძოდ, მხარეს გააჩნია ის, რომ მის მიერ მიღწეული შედეგი აღსრულდება.[98]

აუცილებლად უნდა შეფასდეს ადმინისტრაციული სარჩელის შედეგი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა თუ მისი რეალური აღსრულება?

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონიერი ინტერესის აღდგენისკენაა ორიენტირებული, ამის გამო, სახელმწიფოს აქვს შექმნილი სასამართლო სისტემა, რომლის მიზანია განახორციელოს მართლმსაჯულება და აღადგინოს კანონიერება.[99] კანონიერი ინტერესის შედეგს წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც სასამართლოს მიერ გამოცემული აქტია.[100] მისი მიზანი მართლმსაჯულების აღდგენაა, რომელიც პასუხობს კანონით წაყენებულ

---

[95] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლი.
[96] ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ., სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი პირველი, თბილისი, 2018, 07.
[97] იქვე, 15.
[98] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 2006 წლის 28 ნოემბერი, 40765/02.
[99] ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი მეორე გამოცემა, თბილისი, 2005, 358.
[100] იქვე, 359.

მოთხოვნებს და რომლითაც საქმე წყდება არსებითად.[101] ამას გარდა, სასამართლო ხელისუფლებაში, სადაც ხორციელდება საჯარო მმართველობითი საქმიანობა, აუცილებელია, რომ არსებობდეს სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი კონტროლი, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს კორუფციულ და სხვაგვარ გარიგებებს.[102] მოსამართლეებს ეკისრებათ მთელი რიგი ვალდებულებები დანაშაულის ნიშნების აღმოფხვრასთან მიმართებით, რადგან აღნიშნული დაკავშირებულია ეფექტურ მართლმსაჯულებაზე.[103] როგორც სახელმწიფო სტურუქტურებს, ასევე საზოგადოებასაც ევალებათ განახორციელონ კონტროლი შესაბამის უწყებაში საჩივრის შეტანის გზით.[104]

ზემოთ დასმულ კითხვასთან დაკავშირებით, რეალურად არის თუ არა კანონიერი ინტერესის შედეგი სასამართლო გადაწყვეტილება, მოგახსენებთ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით მოსარჩელეს ხელში უჭირავს აქტი, რომელიც შესასრულებლად ყველასთვის სავალდებულოა.[105] თუმცა, რეალურად შესრულდება თუ არა იგი, აღნიშნული აღსრულების ეტაპზე დგინდება. მოსამართლემ რეალურად უნდა განჭვრიტოს და მიიღოს ისეთი სახის აქტი, რომელსაც აღსრულებაზე საფრთხე არ შეექმნება.[106]

ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში, კანონიერი ინტერესის შედეგი განსაზღვრულია სასამართლო გადაწყვეტილების მიღებით. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაციული კანონმდებლობა ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.[107] ანალოგიურადაა

---

[101] იქვე, 360.
[102] ხუბუა გ., ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თბილისი, 2018, 353.
[103] იქვე, 263.
[104] იქვე, 364.
[105] სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლი.
[106] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო., მოსამართლეთა როლზე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაში, სტრასბურგი, 2010 წლის 19 ნოემბერი, დასკვნა13 (2010).
[107] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილი.

განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ სარჩელსა,[108] და მოქმედების შესახებ სარჩელთან დაკავშირებითაც.[109] როგორც ხედავთ, ადმინისტრაციული კანონმდებლობა კანონიერი ინტერესის დაკმაყოფილებად ითვალისწინებს სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილების მიღებას, თუმცა, რეალურად აღდგა თუ არა მოსარჩელის კანონიერი ინტერესი, რა თქმა უნდა იგი აღსრულების ეტაპზე დგინდება, რაც ლოგიკურია.

4.1. შედეგის განსაზღვრა - კავშირი კანონიერ ინტერესთან

აღსანიშნავია ის, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კანონიერ ინტერესთან დაკავშირებული საკითხი სხვაგვარად დგება, კერძოდ, ადმინისტრაციული სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს, სარჩელის დაკმაყოფილებისა და სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ.[110]

საბოლოო, ანუ სრულ გადაწყვეტილებას ეწოდება ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც თუმცა შეიძლება ჯერ კიდევ არ არის კანონიერ ძალაში შესული, მაგრამ შეიცავს პასუხს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნაზე, დაკმაყოფილების, არ დაკმაყოფილების ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქტის გადაწყვეტილებად შეფასება არ არის კანონიერ ძალაში შესვლაზე დამოკიდებული.[111]

---

[108] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[109] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33(1) მუხლი.
[110] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მეხუთე ნაწილი.
[111] ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, 361.

ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელე აბსოლუტური პრივილეგიით სარგებლობს გასაჩივრების მექანიზმით, რათა აღიდგინოს მისი კანონიერი ინტერესი.[112]

4.2. მოთხოვნის ტრანსფორმაცია შედეგის მიღწევისთვის

ადმინისტრაციული კანონმდებლობა ითვალისწინებს მოსარჩელის მხრიდან ეფექტური შედეგის მიღწევისათვის მოთხოვნის ტრანსფორმაციის ინსტიტუტს, რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლო, პროცესის დაჩქარების მიზნით, მხარეს ეხმარება მოთხოვნის სწორად ჩამოყალიბებაში, რათა ეფექტურად მოახდინოს უფლების დაცვა.[113] სასამართლო, დაჩქარებული საქმისწარმოების მიზნით იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული კანონმდებლობით.[114] მოგეხსენებათ, რომ დღესდღეობით საერთო სასამართლოები საქმეთა სიმრავლის გამო გადატვირთულია, რაც საბოლოოდ მხარის კანონიერ ინტერესზე ზემოქმედებს.

სარჩელის ტრანსფორმაციის ინსტიტუტი დამოკიდებულია მოსარმართლის პრივილეგირებულ უფლებაზე, რაც ინკვიზიციურობის პრინციპის სახელითაა ცნობილი.[115] ასეთ დროს, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო, რომელიც პასუხისმგებელია პროცესის წარმართვაზე, შეუძლია მხარეს დააზუსტებინოს სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი.[116]

---

[112]ლომიძე ლ., ჯორბენაძე ს., ვადები საჯარო სამართალში, თბილისი, 2016, 08.
[113] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28(1)-ე მუხლი.
[114] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლი.
[115] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი.
[116] კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, 25.

სასამართლოს, მოთხოვნის ტრანსფორმაციის მიზნით ეკისრება მთელი რიგი პასუხისმგებლობა, მისი მხრიდან უნდა იქნეს განსაზღვრული, მოთხოვნის ტრანსფორმაცია რამდენად ადეკვატურ შედეგამდე მიიყვანს მხარეს და აღუდგენს მის კანონიერ უფლებას. აუცილებელია, რომ მოთხოვნის ტრანსფორმაციას მოჰყვეს შედეგი.[117]

აღსანიშნავია პრაქტიკაში განხორციელებული მოსარჩელის მიერ არასწორად დაყენებული მოთხოვნის შემთხვევები, როდესაც მოსამართლის მიერ მოთხოვნის ტრანსფორმაციის მიუხედავად, მოსარჩელე არ ახდეს მოთხოვნის დაზუსტებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა კასატორის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის თაობაზე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იგი არ იყო საჯარო სამსახურში თანამდებობაზე აღდგენილი. მოცემულ საქმეზე, მოსარჩელეს მოთხოვნილი ჰქონდა გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობაც, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომლითაც დაკმაყოფილდა აპელანტის სააპელაციო საჩივარი და ბათილად იქნა ცნობილი გათავისუფლების შესახებ აქტი, ხოლო განაცდურის ნაწილში უარი ეთქვა მას. სააპელაციო სასამართლო მიუთითებდა, რომ სარჩელის საფუძველზე მოსარჩელეს მოთხოვნილი არ ჰქონდა სამსახურში აღდგენა, მისი სასარჩელო მოთხოვნა შეეხებოდა მხოლოდ იძულებითი განაცდურის აღდგენას. აღნიშნულთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ ისარგებლა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებით და გამოიყენა სარჩელის ტრანსფორმაცია სამსახურში აღდგენის შესახებ, რომელიც მხარის მხრიდან გამოყენებული არ იქნა. შესაბამისად,

[117] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 08 ივნისის, ბს-307-305(კს-17) გადაწყვეტილება.

იძულებითი განაცდურის ნაწილში უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული განჩინება გასაჩივრდა საკასაციო სასამართლოში, რომლითაც უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან სასამართლო განმარტავდა, რომ გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევდა მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო უთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არაერთგზის შეთავაზებისა, გამოეყენებინა სარჩელის ტრანსფორმაცია, მხარის მხრიდან უარყოფილ იქნა. ამიტომ, უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა კასატორის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის შესახებ.[118]

მართალია, ადმინისტრაციული პროცესი ითვალისწინებით ინკვიზიციურობის პრინციპს, რისი გამოვლინებაც მოსარჩელის მოთხოვნის ტრანსფორმირების შეთავაზებაა, თუმცა მხარეები ნაკლებად ენდობიან მოსამართლეს და საკუთარი მცდარი პოზიციის ბოლომდე გატანას ირჩევენ, რაც საბოლოოდ მათი არჩევანი კანონიერი ინტერესის აღდგენას არ ემსახურება.[119]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართლის სპეციფიკიდან და საზოგადოების დაბალი ცნობიერების გათვალისწინებით, დგება იმის საკითხი, ადმინისტრაციული დავის შემთხვევაში, კანონიერი ინტერესის აღდგენის რომელი ეფექტური საშუალებაა მიზანშეწონილი. ამიტომ, კანონმდებელმა, სამოქალაქო პროცესის მოსამართლისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული პროცესის მოსამართლეს მიანიჭა პრივილეგია და პროცესში მონაწილე პირისათვის დახმარების ფუნქციაც მისცა მას. აღნიშნული გამომდინარეობს ადმინისტრაციული მეცნიერების

---

[118] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 05 აპრილის, ბს-653-645 (2კ-15) გადაწყვეტილება.

[119]http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/59074-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9A%.

ახალგაზრდული ხასიათით[120]. როგორც ზემოხსენებულ მაგალითშია ნაჩვენები, მოთხოვნის არასწორად დაყენებამ მხარის შედეგზე უარყოფითად იმოქმედა, მას არ მიეცა თანხა იძულებითი განაცდურის შესახებ. სასამართლოს მხრიდან ყველა რესურსი იქნა გამოყენებული, რათა მხარეს მიეღწია მიზნამდე, თუმცა, უშედეგოდ. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ მიუხედავად მოსარჩელის დარღვეული უფლებისა, აუცილებელია სწორად იქნეს შერჩეული მოთხოვნა, რათა დადგეს საბოლოო შედეგზე. დღესდღეობით, უამრავი შემთხვევაა საჯარო სამსახურში შრომითი დასაქმებული პირების გათავისუფლების ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც აღმოფხვრილ უნდა იქნეს შესაბამისი ადმინისტრაციული საპროცესო პროცედურების სრული დაცვით.

[120] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999 წლის 06 აგვისტოს მდგომარეობით.